



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 16 ივლისი

დისციპლინური საქმე №31/20
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- 2020 წლის 10 მარტის №31 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 28 მაისის №31/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის აღნიშნავს, რომ მას აქვს რუსული ჟღერადობის გვარი თუმცა, გახლავთ ბერძენი. მოსამართლე --- მიიჩნია, რომ ის არის რუსული წარმოშობის მქონე პირი და უმიზეზოდ შეაჩერა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. ამკარად ჩანს, რომ სახეზეა დისკრიმინაციული მიდგომის ფაქტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 22 აპრილს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს მოპასუხეების, --- და --- მიმართ. სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვას და მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთას. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2017 წლის 22 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით სარჩელის ავტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად. აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხეებმა გაასაჩივრეს 2017 წლის 01 მაისს.

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის სხდომაზე --- გაიხმო სარჩელი ერთ-ერთი მოპასუხის, --- მიმართ. 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით --- უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება (მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის, --- მიმართ).

სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 25 იანვრის განჩინება 2018 წლის 17 ივლისს საკასაციო წესით გაასაჩივრა ---. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 06 ნოემბრის განჩინებით კასატორის

საჩივარი დარჩა განუხილველი.

2019 წლის 30 იანვარს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და 2017 წლის 22 მარტის პირველი ინსტანციის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე მომზადებული სააღსრულებო ფურცელი მოითხოვა. სააღსრულებო ფურცელი მხარეს ჩაბარდა 2019 წლის 25 თებერვალს.

2019 წლის 05 მარტს -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მისი -- -- უფლებამონაცვლედ ცნობა მოითხოვა (სადავო ქონებაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე). 2019 წლის 19 მარტის განჩინებით აღნიშნული შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, -- -- აღიარებულ იქნა -- -- უფლებამონაცვლედ.

2019 წლის 23 ოქტომბერს -- -- წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს მოსამართლე -- -- და სააღსრულებო წარმოების შეჩერება მოითხოვეს. განცხადების ავტორების მტკიცებით, -- -- სასამართლოში განიხილებოდა მოპასუხის შვილის განცხადება -- -- მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე და ამდენად, არსებობდა სააღსრულებო წარმოების შეჩერების კანონიერი საფუძველი. გარდა ამისა, სადავო ბინაში ცხოვრობდა მოპასუხის ფეხმძიმე რძალი, რომელსაც ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები და მისი გამოსახლება საფრთხეს შეუქმნიდა როგორც დედის, ისე ნაყოფის სიცოცხლეს. 2019 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა სააღსრულებო წარმოების შეჩერების შესახებ დაკმაყოფილდა, 2017 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების აღსრულება შეჩერდა სასამართლოს მიერ -- -- მხარდაჭერის მიმღებად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

აღნიშნული განჩინება -- -- გაასაჩივრა 2019 წლის 06 ნოემბერს. -- -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 თებერვლის განჩინებით -- -- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 10 მარტის №31 საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება, „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძველით.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.“

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი, „...რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური

ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად...“, თანაბრად უნდა სარგებლობდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით. იმავე კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს დისკრიმინაციის ცნებას და ადგენს დისკრიმინაციული ქმედების სახეებს. კანონი განასხვავებს დისკრიმინაციული ქმედების ორ ძირითად ფორმას, პირდაპირ და ირიბ დისკრიმინაციას.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“ ხსენებული ნორმის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.“

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-10 მუხლის თანახმად, „მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა. დაუშვებელია, რომ პროცესის მონაწილის რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი, წოდებრივი, თანამდებობრივი, ქონებრივი, რელიგიური, სქესობრივი კუთვნილება ან სხვა გარემოება გავლენას ახდენდნენ მოსამართლის გადაწყვეტილების კანონიერებასა ან მისი უფლებამოსილებების სათანადოდ განხორციელებაზე.“ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ წესებს ნორმატიული შინაარსი არ გააჩნიათ, ამ წესების გათვალისწინება მოსამართლის პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

ასევე სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებს, თუმცა, ამ წესების მნიშვნელობა საერთაშორისო კონტექსტში, ყველა ქვეყნის სასამართლო სისტემებისთვის დავის საგანს არ წარმოადგენს. სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-5 პრინციპის მიხედვით, „სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორ მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.“ სასამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარებში ხსენებულ პრინციპთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „...მოსამართლის ვალია, სამოსამართლო მოვალეობები სასამართლო განხილვის ყველა მხარის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართოს, მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ყოველი მხარისათვის სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფით.“

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია მე-14 მუხლის შესაბამისად, „ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველ გვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად.“

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის 24-ე აბზაცის თანახმად, „მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ჯეროვნად და დაიცვან მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, თავიდან აიცილონ რაიმე სახის მიკერძოება და დისკრიმინაცია, შეინარჩუნონ ბალანსი მხარეებს შორის და უზრუნველყონ საქმის სამართლიანი განხილვა თვითოეული მხარისათვის.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (სსსკ-ი) 267-ე მუხლის მიხედვით, „გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.“ ამავე კოდექსის 263-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილვადოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.“

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება „მოვალის მხარდაჭერის მიმდებარე ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისას – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.“

სსსკ-ის 263-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან განაწილვადების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების საშუალების ან წესის შეცვლის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა“, ხოლო სსსკ-ის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.“

საჩივრის ავტორი საჩივარში აცხადებს, რომ მოსამართლემ შეაჩერეს -- -- სასარგებლოდ დაწყებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი იმის გამო, რომ მას ჰქონდა რუსული გვარი და მოსამართლეს ის რუსული წარმომავლობის ეგონათ. წინასწარი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჩივრის ავტორს თავისი მოსაზრების დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, არ იქნა მოძიებული არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება განპირობებული იყო დისკრიმინაციული მოტივებით. ამდენად, არ არსებობს მოსამართლის ქმედება, რომელიც შეიძლება განხილული იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ნორმების კონტექსტში.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური

გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №31/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი